European Commission

ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი

თანმიმდევრული ნაბიჯები

2022 წლის ივნისი
#EUenlargement

ნდობაზე დამყარებული გაფართოების პოლიტიკა – ეს არის გეოსტრატეგიული ინვესტიცია ევროპაში **მშვიდობის**, **სტაბილურობის**, **უსაფრთხოებისა** და **კეთილდღეობის** დასამკვიდრებლად. ის ეფუძნება სამართლიან და მკაცრ პირობებს, კანდიდატი ქვეყნების კონკრეტულ დამსახურებებს და მათგან მოითხოვს კომპლექსური რეფორმების განხორციელებას მრავალ ისეთ სფეროში, როგორიცაა კანონის უზენაესობა, ეკონომიკა თუ კორუფციის და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კარგ სამეზობლო ურთიერთობებს და რეგიონულ თანამშრომლობას.

ევროკავშირში გაწევრიანების ძირითადი ეტაპები

1 ქვეყანა წარადგენს განაცხადს საბჭოში (ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის).

2 კომისია წარადგენს მოსაზრებას განაცხადის შესახებ.

3 ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები იღებენ ერთსულოვან გადაწყვეტილებას ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ.

4 ქვეყნის მიერ პირობების დაკმაყოფილების შემდეგ, ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობის საფუძველზე, იწყება მოლაპარაკებები გაწევრიანების თაობაზე.

5 ევროკომისია წარადგენს მოლაპარაკების ჩარჩოს პროექტს, რომელიც შემდეგ ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაამტკიცონ.

6 მოლაპარაკებების დროს, რომლებიც დაყოფილია ბლოკების და თავების მიხედვით, ქვეყანა ევროკავშირის კანონების და სტანდარტების დასანერგად ემზადება. ევროკავშირის ყველა წევრმა სახელმწიფომ უნდა დაადასტუროს, რომ თითოეულ შემთხვევაში ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7 ყველა საკითხზე მოლაპარაკებების დასრულებისთანავე ევროკომისიას გამოაქვს საკუთარი დასკვნა ქვეყნის ევროკავშირში გასაწევრიანებლად მზადყოფნის შესახებ.

8 ამ დასკვნის საფუძველზე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები იღებენ ერთსულოვან გადაწყვეტილებას მოლაპარაკების პროცესის დასრულების შესახებ. საკუთარი თანხმობა უნდა გამოთქვას ევროპარლამენტმაც.

9 ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო და კანდიდატი ქვეყანა ხელს აწერენ და ამტკიცებენ გაწევრიანების ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც ქვეყანა ევროკავშირის წევრი ხდება.